თინათინ კაპანაძე

გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა
და თანამედროვეობა

ავტორეფერატი

განათლების მეცნიერებების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

კვლევის მიზანი. წარმოდგენილი სადოქტორო დისერტაცია მიზნად ისახავს, მონოგრაფიულად იქნეს შესწავლილი ქართული პედაგოგკიური აზროვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის - გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა; კერძოდ, თანამედროვე თვალთახედვით იქნეს განხილული და შეფასებული მისი პედაგოგიკური შეხედულებანი და უაღრესად მნიშვნელოვანი დამსახურება ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში საფუძვლიანადაა გაანალიზებული გასული საუკუნის დიდი ქართველი პედაგოგის, თეორეტიკოსისა და ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის სისტემური კურსის პირველად შემქმნელის - გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა. არ გადაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ მას უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული პედაგოგიკური მეცნიერების განვითარებასა და შემდეგი საკითხების შესწავლაში:

ა) უცხოელ მკვლევართა მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებით, ქართულ პედაგოგიკაში მან ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა და გააანალიზა პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები, მიზნები და ამოცანები, ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ჯანსაღ ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

ბ) საბჭოთა პერიოდის ქართულ პედაგოგიკაში ერთ-ერთმა პირველმა განსაზღვრა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის არსი, მიზნები და ამოცანები.

გ) მეცნიერული სიღრმით გაიაზრა შრომითი დისციპლინის აღზრდის საკითხები და გვიჩვენა მათი როლი პიროვნების აქტივობის, სოციალურ-ეკონომიკური, ზნეობრივი და გონებრივი განვითარების პროცესში; მკაფიოდ ჩამოაყალიბა შრომითი აღზრდის მიზანი, შრომის მოტივაცია, შრომის შედეგით გამოწვეული სიამოვნება, შრომისმოყვარეობა, შრომის დისციპლინა და სხვა.

გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მისი პედაგოგიკური იდეების მიმართებას სწავლა-აღზრდის თანამედროვე პრობლემებთან.

გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკური იდეებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსწავლეთა პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდასთან, სწავლების სტრუქტურის ოპტიმიზაციასთან, შრომითი და შეგნებული დისციპლინის ფორმირებასთან და პედაგოგიკური აზროვნების სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებანი.

გ. თავზიშვილმა ასევე დიდი როლი შეასრულა ქართული საბავშვო მწერლობის წარმომადგენელთა საბავშვო ნაწერების რედაქტირების, გამოცემისა და მათი ავტორების პედაგოგიკური იდეების წარმოჩენის საქმეშიც. კერძოდ, მან საფუძვლიანად შეისწავლა ცნობილი ქართველი საბავშვო მწერლების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო შეხედულებანი.

გ. თავზიშვილის ღვაწლის შეფასების დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი მონოგრაფიული ნარკვევების გამოქვეყნებამდე საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორია და ქართული პედაგოგიკური აზროვნების ცნობილ წარმომადგენელთა საგანმანათლებლო შეხედულებანი მისეული სიღრმით შესწავლილი არ ყოფილა.

კვლევის სიახლე და ინოვაციურობა. როგორც ითქვა, გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობის შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება

მიექცა მისი იდეების მიმართებას სწავლა-აღზრდის თანამედროვე პრობლემებთან. აქედან გამომდინარე:

- საფუძვლიანად და კრიტიკულად იქნა განხილული სწავლების პროცესის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით გ. თავზიშვილის მიერ შექმნილი ნაშრომები, რის შედეგადაც გამოვლინდა მათი როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები.

საკითხის აქტუალურობა და მნიშვნელობა: გ. თავზიშვილის პედაგოგიკური იდეების შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მათ მნიშვნელობას თანამედროვე პედაგოგიკის უმთავრეს მოთხოვნებთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილის მიერ სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულ რეკომენდაციათა ცალკეული დებულებანი საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიურ პოლიტიკაზე იყო დაფუძნებული, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაც გასათვალისწინებელია. ამ თვალსაზრისით კვლავაც ფასეულია მოსწავლეთა პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდასთან, სწავლა-სწავლების სტრუქტურის ოპტიმიზაციასთან, შრომითი და შეგნებული დისციპლინის ფორმირებასთან და პედაგოგიური აზროვნების სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით მის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი.

კვლევის მეთოდოლოგია. გ. თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა შესწავლილ იქნა კომპლექსურად, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით. კერძოდ, კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ანალიზის, დაკვირვებისა და განზოგადების, კომპარატივისტიკის, ისტორიულ-შედარებითი და სხვა მეთოდები. მათზე დაყრდნობით, კრიტიკული თვალთახედვით იქნა შესწავლილი გ. თავზიშვილის პედაგოგიკური მემკვიდრეობა, რის შედეგადაც შევეცადეთ ობიექტურად განგვესაზღვრა მისი წვლილი ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში.

კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. ჩვენი აზრით, გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის საფუძვლიანად შესწავლის შედეგად არა მარტო ამ მკვლევრის მიერ ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში შეტანილი წვლილი წარმოჩინდა, არამედ საბჭოთა პერიოდის პედაგოგიკური მეცნიერების სპეციფიკური მხარეებიც გამოვლინდა რამდენადმე

ახალი რაკურსით. აქედან გამომდინარე, წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მოკლედ შეიძლება ასე განისაზღვროს:

ა) როგორც აღინიშნა, გიორგი თავზიშვილმა, ქართველ მკვლევართაგან პირველმა, საფუძვლიანად დაამუშავა პედაგოგიკური მეცნიერების ისეთი საკითხები, როგორებიცაა: პედაგოგიკის მიზნები, ამოცანები, აღზრდის განმარტება, პედაგოგიკის სოციალური კანონზომიერებანი, ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ჯანსაღი ურთიერთობის დამკვიდრებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

ბ) მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ყველა მეცნიერის მსგავსად, იმდროინდელმა იდეოლოგიურმა პოლიტიკამ მის ნაწერებზეც მოახდინა ზეგავლენა, გ. თავზიშვილი მაინც ახერხებს მეტისმეტად არ მოექცეს მის არტახებში.

გ) გ. თავზიშვილს მეტად ფასეული დამსახურება მიუძღვის ქართველ მოღვაწეთა საგანმანათლებლო შეხედულებების შესწავლის საქმეში. ფაქტობრივად, მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა წარსულში მოღვაწე არც ერთი ისეთი პიროვნება, რომელსაც ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში საგულისხმო წვლილი შეეტანოს და მისი ეს დამსახურება გ. თავზიშვილის შესწავლის საგანი არ გამხდარიყოს. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია მისი ის ნაშრომები, რომელთა მეშვეობითაც მან, ერთ–ერთმა პირველმა ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის მკვლევართაგან, საფუძვლიანად შეისწავლა ისეთი დიდი მწერლებისა და მოღვაწეების საგანმანათლებლო იდეები, როგორებიც იყვნენ: შოთა რუსთაველი, სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ლუარსაბ ბოცვაძე და სხვები.

დ) გ. თავზიშვილმა ასევე დიდი როლი შეასრულა ქართული საბავშვო მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა საბავშვო ნაწერების რედაქტირების, გამოცემისა და მათი ავტორების პედაგოგიკური იდეების წარმოჩენის საქმეშიც. კერძოდ, მან საფუძვლიანად შეისწავლა ცნობილი ქართველი საბავშვო მწერლების: ეკატერინე გაბაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, ნინო ნაკაშიძისა და სხვათა აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო შეხედულებანი.

სადისერტაციო ნაშრომის მოკლე შინაარსი.

თავი პირველი: შტრიხები გიორგი თავზიშვილის ცხოვრებიდან და მისი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის ისტორიიდან.

გიორგი თავზიშვილი დაიბადა 1902 წელს ხარაგაულის რაიონის სოფელ ბაზალეთში. მშობლიურ სოფელში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლობდა გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიაში. 1922 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, 1923 წელს კი მოსკოვის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიურ განყოფილებაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1926 წელს. იმავე წელს სწავლა გააგრძელა მოსკოვის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის განყოფილებაზე, რომელიც დაასრულა 1929 წელს და დაინიშნა მოსკოვის პირველი სახელმწიფო უნივერსიტეტის პადაგოგიკის კათედრის დოცენტად. მოსკოვში გ. თავზიშვილი 1930 წლის სექტემბრამდე დარჩა, შემდეგ კი საქართველოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო დირექტორის მოადგილედ და პედაგოგიკის კათედრის გამგედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე იმხანად შექმნილ პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამავე წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1933 წლიდან 1938 წლამდე მუშაობდა პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, 1938-1958 წლებში კი ხელმძღვანელობდა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრას. 1933 წლიდან გარდაცვალებამდე იგი ასევე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. პარალელურად, 1938 წლიდან 1947 წლამდე, ქუთაისის პედინსტიტუტში განაგებდა პედაგოგიკის კათედრას.

გარდა ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა, გ. თავზიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ და ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდა. კერძოდ: იყო მრავალი სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულების საბჭოების წევრი, სახელმძღვანელოების, ქართველ მწერალთა პედაგოგიკური ხასიათის ნაწარმოებების

რედაქტორ-გამომცემელი, საქართველოს პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, მრავალი ასპირანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი...

გ. თავზიშვილი გარდაიცვალა 1963 წელს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა დღემდე არ ქცეულა მონოგრაფიული კვლევის საგნად, მისი ნაშრომების შეფასებას არაერთი სტატია მიეძღვნა. მათი უდიდესი ნაწილი მეცნიერის სიცოცხლეში დაიწერა, შემდგომ პერიოდში კი ეს ინტერესი, მართალია, მინელდა, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში არ გამქრალა. რაც შეეხება პოსტსაბჭოურ ხანას, დღევანდელი პედაგოგიური საზოგადოება ნაკლებად იცნობს გ. თავზიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობას. მართალია, პედაგოგიკის თეორიასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები მის ნაშრომებში საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელ იდეოლოგიურ მოთხოვნათა გათვალისწინებითაა გააზრებული, მაგრამ ავტორის მიერ შემოთავაზებული უმთავრესი დებულებანი დღესაც უნდა მივიჩნიოთ საგულისხმო პედაგოგიკურ რეკომენდაციებად.

განსხვავებით პედაგოგიკის თეორიისა და სწავლების საკითხებზე შექმნილი იმ ნაშრომებისაგან, რომლებშიც იმჟამინდელი იდეოლოგიური პოლიტიკის ზეგავლენის კვალი ყველაზე მეტად იგრძნობა, გ. თავზიშვილის ის ნარკვევები, რომლებშიც ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიისა და ქართველ მოღვაწეთა საგანმანათლებლო შეხედულებებია შესწავლილი, ისინი ამ თვალსაზრისით კვლავაც უაღრესად ფასეულია.

თავი მეორე - პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლების საკითხები გიორგი თავზიშვილის ნააზრევში.

ა) გიორგი თავზიშვილი - ქართული პედაგოგიკის თეორეტიკოსი. სამწუხაროდ, ეპოქა, რომელშიც გიორგი თავზიშვილს მოუხდა მოღვაწეობა, საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკის არტახებით იმდენად იყო შებოჭილი, რომ ამ პოლიტიკის შედეგად განსაზღვრული ნორმატივებისაგან ოდნავი გადახვევაც კი მკაცრად ისჯებოდა. ამ გარემოებამ უმძიმესი დაღი დაასვა მაშინდელი ცხოვრების ყველა

სფეროს, მათ შორის პედაგოგიკურ მეცნიერებასაც, რის შედეგადაც აღზრდასთან და სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები ხელისუფლების მესვეურთა მიერ განსაზღვრული პრინციპების ჩარჩოებში მოექცა. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით ვერც გ. თავზიშვილი გამოდგებოდა გამონაკლისი.

მიუხედავად ამისა, თავის ნაშრომებში იგი მაინც ახერხებდა იმდროინდელი იდეოლოგიური სტანდარტებისაგან თავის მეტ-ნაკლებად დაღწევას. აქედან გამომდინარე, თავისი მაშინდელი პედაგოგიური შეხედულებებით გ. თავზიშვილი აშკარად გვევლინება პროგრესულად მოაზროვნე იმ მეცნიერად, რომლის პედაგოგიკური იდეები დღესაც მნიშვნელოვანია და ანგარიშგასაწევი.

გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკური ნააზრევის განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ იმ ღვაწლის წარმოჩენას, რომელიც მას ქართული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების პროცესში მიუძღვის. ამ თვალსაზრისით მან უაღრესად მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ქართულ ენაზე პედაგოგიკის სახელმძღვანელოს პირველად შექმნის საქმეში. როგორც ცნობილია, XX საუკუნის 30-იან წლებში ჯერ კიდევ არ არსებობდა პედაგოგიკის მეთოდოლოგიის საკითხებზე შექმნილი რაიმე სახელმძღვანელო ლიტერატურა ქართულ ენაზე. ჩვენი პედაგოგიკური მეცნიერების ამ ხარვეზს რამდენადმე ავსებს 1933 წელს დაბეჭდილი მისი ნაშრომი „პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები“, სადაც თეზისების სახით იყო ჩამოყალიბებული ისეთი საკითხები, როგორებიცაა: პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, განმარტება, მიზნები და ამოცანები; აღზრდა, როგორც სოციალური პროცესი და მისი მიზნები და ამოცანები, პედაგოგიკის სოციალური კანონზომიერება და ბიოლოგიური ფაქტორები.

ხსენებულ წიგნში ძირითადად დღესაც მისაღები სახით იყო განმარტებული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, არსი და მიზანი. კერძოდ, ნაშრომში ნათლადაა განსაზღვრული და განმარტებული აღნიშნული მიმართულებით მეტად მნიშვნელოვანი ისეთი საკითხები, როგორებიცაა: 1. ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესწავლა-გათვალისწინების საფუძველზე აღზრდის პრინციპების, საშუალებებისა და მეთოდების დადგენა; 2. მწარმოებლურ შრომაში მოსწავლეთა ჩართვა; 3. აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ჯანსაღი ურთიერთობის დამყარება და მათ შორის არსებული წინააღმდეგობის დაძლევა; 4. ადამიანისა და გარემოს

დამოკიდებულების გარკვევა; 5. პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა; 6. კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნის ათვისება და არსებულ პირობებში მისი შემოქმედებითი გამოყენება; 7. ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებში პიროვნების სწრაფი და სწორი ორიენტაციის უნარის განვითარება და მიზანშეწონილი მოქმედების გამომუშავება.

გ. თავზიშვილის პედაგოგიკური შეხედულებების შესწავლის დროს ასევე განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ქართულ ენაზე მისი თანაავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოს პედაგოგიკაში (1956 წ.).

1968 წელს ქართულ ენაზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო გამოიცა პედაგოგიური მიმართულების სტუდენტებისათვის, რომელშიც შესულია გიორგი თავზიშვილის ყველა მნიშვნელოვანი ნაშრომი პედაგოგიკაში. სახელმძღვანელო ოთხი თავისაგან შედგებოდა და მოიცავდა შემდეგ საკითხებს: პედაგოგიკის საგანი, პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, ბავშვის განვითარების ძირითადი ფაქტორები, ბავშვის განვითარების ასაკობრივი პერიოდები და თავისებურებანი. აღნიშნული წიგნი ხანგრძლივი დროის განმავლობაში წარმოადგენდა სტუდენტთა ძირითად სახელმძღვანელოს. მის მაღალ მეცნიერულ მნიშვნელობას ადასტურებს ისიც, რომ ხსენებული ნაშრომი გ. თავზიშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1980 წელს გამოცემულ, მისი რჩეული პედაგოგიკურ თხზულებათა მესამე ტომშიცაა შეტანილი.

გ. თავზიშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ბავშვთა ასაკობრივი თავისებურებების კვლევას. მისი აზრით, სწორედ ბავშვთა განვითარების ასაკობრივი თავისებურებების დადგენითა და გათვალისწინებით შეიძლება წარიმართოს სწორი პედაგოგიკური პროცესი. ყურადღებას იქცევს ბავშვთა განვითარების ასაკობრივი პერიოდიზაციის გ. თავზიშვილისეული სქემაც, რომელიც ძირითადად ორ ეტაპს - სკოლამდელ და სასკოლო პერიოდებს მოიცავს. ეს პერიოდები თავის მხრივ მას დაყოფილი აქვს სამ-სამ პერიოდად. კერძოდ, სკოლამდელი პერიოდი მოიცავს უმცროს, საშუალო და უფროს სკოლამდელ ასაკს. შესაბამისად, დაბადებიდან 3 წლამდე, 3-დან 5 წლამდე და 5-დან 7 წლამდე. სასკოლო პერიოდი კი მოიცავს უმცროს, საშუალო და უფროს ასაკობრივ პერიოდებს. შესაბამისად, 7-8 წლიდან 11-12 წლამდე, 11-12-დან 14-15 წლამდე და 14-15-დან 17-18 წლამდე. გ. თავზიშვილის აზრით, ასეთი დიფერენცირება უფრო ნათლად გამოხატავს ბავშვის განვითარების

პრინციპს, ვიდრე პერიოდიზაციის ისეთი ცნებები, როგორებიცაა ჩვილი, ყრმა, ყმაწვილი და სხვა, რაც უფრო ფიზიკური განვითარების ეტაპებს განსაზღვრავს.

აღნიშნული პერიოდიზაცია, რომელიც შესაბამისობაში ვერ მოდის თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულებათა სისტემასთან, იმ დროისთვის არსებული სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების ასაკობრივი საფეხურების მიხედვით იყო განსაზღვრული.

ბ) პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის აღზრდის საკითხები გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში. გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის დროს განსაკუთრებული ყურადღება მის იმ ნაშრომებსაც მივაქციეთ, რომლებშიც მოზარდი თაობის აღზრდის პროცესში პატრიოტული და ინტერნაციონალური პრინციპების შერწმასთან დაკავშირებული საკითხებია განხილული. იგი არა მარტო ზოგად რეკომენდაციებს გვთავაზობს ამ მიზნის მისაღწევად, არამედ კონკრეტულ რჩევებსაც იძლევა. კერძოდ, მისი მტკიცებით, ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალებად სკოლაში სწავლის პერიოდში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ისეთი საგნების წავლებას, როგორებიცაა ისტორია, მშობლიური ენა და ლიტერატურა და გეოგრაფია.

პატრიოტული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით მოზარდი თაობის აღზრდის პროცესში გ. თავზიშვილი ასევე დიდ როლს აკისრებდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის პროცესის სწორად წარმართვას. იგი არა მარტო ზოგად შეფასებას აძლევდა ამ მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებს, არამედ კონკრეტულადაც განიხილავდა ამ მიმართულებით გამოსაყენებელ ისეთ მასობრივ ღონისძიებებს, როგორებიცაა: კლასგარეშე კითხვა, ექსკურსიები და ლაშქრობები, კოლექტიური დასწრებები სპექტაკლებსა და კონოფილმებზე და მათი განხილვები, წერილობითი კონტაქტების დამყარება სხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანატოლებთან, სხვადასხვა თარიღებისადმი და ცნობილი პიროვნებებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩატარება, ერთობლივი სპორტული შეჯიბრებების გამართვა და ა. შ.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მკვლევრის ნაშრომებში აღზრდასთან და სწავლა-სწავლების მეთოდებთან და მიზანდასახულობასთან დაკავშირებით გამოთქმული არაერთი მოსაზრება კომუნისტური სახელმწიფოს ბელადთა იდეოლოგიით იყო დაღდასმული. ერთ-ერთ სწორედ ასეთი ზეგავლენის ნეგატიურ გამოვლინებას

წარმოადგენდა ლენინისა და სტალინის ფსევდომეცნიერულ მტკიცებულობებზე დაყრდნობით გამოთქმული შეხედულება ერების ერთმანეთთან შერწყმისა და მსოფლიოში ერთი ხელოვნური ენის შექმნასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, სტალინის მტკიცებით, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობითი გადასვლის პერიოდში ერები და ენები ერთმანეთს შეერწყმებოდნენ, რის შედეგადაც მსოფლიოში მცხოვრები ხალხები ერთი ენით იმეტყველებდნენ. აქედან გამომდინარე, სტალინი თვლიდა, რომ კაცობრიობის განვითარების მომდევნო ეტაპი „ეროვნულ ენათა კვდომისა“ და ერთი „საერთო საეროვნებათაშორისო ენის“ დამკვიდრების ხანა იქნებოდა, დრო, როცა ერთმანეთის „პარალელურად იარსებებდნენ“ ეროვნული ენები და ერთი „საერთო საეროვნებათაშორისო ენა.“ ამ პერიოდის გავლის შემდეგ კი „დაიწყებოდა ეროვნულ განსხვავებათა და ენათა კვდომა და ისინი ადგილს დაუთმობდნენ ყველასთვის საერთო მსოფლიო ენას“.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საბჭოთა მეცნიერის მსგავსად, ენათა კვდომის სტალინისეულ „თეორიას“ მაშინ გ. თავზიშვილმაც დაუჭირა მხარი, ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ თავის ნაშრომებში იგი აქტიურად გამოდიოდა ეროვნულ ინდივიდუალობათა დამცველის როლში და აღნიშნავდა, რომ მოზარდი თაობების აღზრდისა და სწავლა-განათლების განმსაზღვრელ უმთავრეს საფუძვლად მათი პატრიოტული სულისკვეთების განმტკიცება უნდა ქცეულიყო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისეული მსჯელობა მოზარდი თაობის აღზრდის პროცესში პატრიოტული და ინტერნაციონალური პრინციპების ერთმანეთთან შერწმასთან დაკავშირებით.

ამ და მსგავს მოსაზრებებს გ. თავზიშვილი არა მარტო ზოგადად გამოთქვამდა, არამედ მათი პრაქტიკული განხორციელების გზებსაც გვთავაზობდა შესაბამისი რეალობის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში გამოთქმული ამ რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მკვლევრის მიერ დაფიქსირებული ბევრი მოსაზრება თანამედროვე ეტაპზე ტექნოლოგიური პროცესების რადიკალური შეცვლისა და ევროინტეგრაციის პროცესში ჩვენი ქვეყნის აქტიურად ჩართვის გამო არსებითად შეცვლილ რეალობას ქმნის, ხსენებული მოსაზრებანი მეტ-ნაკლებად მაინც რჩება აღნიშნული მიზნის მისაღწევად მეტ-ნაკლებად გასათვალისწინებელ თეორიულ ბაზად.

გ) პოლიტექნიკური განათლების საკითხები გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში. მოსწავლეთა სწავლებასთან და აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხთა თეორიული განხილვებისა და კონკრეტული პედაგოგიკური რეკომენდაციების შემუშავების დროს გ. თავზიშვილმა პოლიტექნიკური განათლების საკითხებსაც მიაქცია ყურადღება. აღნიშნული საკითხი მის მეცნიერულ ნააზრევში ორჯერ იქცა სპეციალური მსჯელობისა და ანალიზის საგნად - პირველად XIX საუკუნის ქართული საგანმანათლებლო სისტემისა და იმ პერიოდის ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიკური იდეების შესწავლის დროს და მეორედ 1955 წელს გამოცემულ წიგნში „პოლიტექნიკური სწავლების საკითხვისათვის.“ ამ საკითხით გ. თავზიშვილის დაინტერესება იმითაც აღმოჩნდა განპირობებული, რომ სწავლების ეს მიმართულება იმხანად ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღების საგნად იყო ქცეული.

გ. თავზიშვილის ხსენებული წიგნიც ამ მიზნით შექმნილ ნაშრომს წარმოადგენდა და, ადვილად გასაგებ გარემოებათა გამო, საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკის აშკარა ზეგავლენით იყო აღბეჭდილი. ამას ემატება ისიც, რომ მკვლევრის მიერ იმდროინდელ რეალობაზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციების დიდი ნაწილი ტექნიკური თვალსაზრისით არსებითად შეცვლილ დღევანდელ მდგომარეობას უკვე პრინციპულად აღარ შეესაბამება და აღნიშნული ნაშრომი მხოლოდ ისტორიული სინამდვილის კონტექსტის გათვალისწინებით უნდა შევაფასოთ. ამასთან, დღევანდელ სკოლაში სწავლებისა და აღზრდის პროცესი მოსწავლეთა პროფესიულ-ტექნიკური განათლებისთვის მოსამზადებელი საფუძვლის შესაქმნელად არსებითად განსხვავებულ პედაგოგიურ მეთოდებს ემყარება.

ხსენებულ წიგნში გ. თავზიშვილმა აქტიურად სცადა, სპეციალური მსჯელობის საგნად ექცია საბჭოთა პერიოდის საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილად გამხდარ პოლიტექნიკურ სწავლებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხებიც. საბჭოთა პერიოდის საგანმანათლებლო სისტემა პოლიტექნიკურ სწავლებას განსაკუთრებულ ყურადღებას არა მარტო ზოგადსაგანმანათლებლო სწავლების პროცესში უთმობდა, არამედ იმითაც, რომ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით იყო შექმნილი პროფტექნიკური სასწავლებლების მრავალფეროვანი ქსელი, სადაც ძირითადად ის მოსწავლეები

ირიცხებოდნენ, რომლებიც სწავლაში მოისუსტებდნენ და უფრო მაღალ საფეხურზე სწავლის გაგრძელების ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ.

თავი მესამე - ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორიის საკითხები გიორგი თავზიშვილის ნააზრევში.

ა) გიორგი თავზიშვილი - X–XVIII საუკუნების საქართველოსა და უცხოეთში არსებულ ქართულ სასწავლო დაწესებულებათა ისტორიის მკვლევარი. გიორგი თავზიშვილის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას ქართული სასწავლო დაწესებულებების ისტორიისა და ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიკური შეხედულებების შესწავლა წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენდა მონოგრაფია - „უმაღლესი განათლების ისტორიისათვის საქართველოში.“ ეს ნაშრომი სრული სახით მისი „რჩეული ნაწერების“ სამტომეულის პირველ ტომშია დაბეჭდილი (თბილისი, 1974 წ.). მონოგრაფიის პირველ ნარკვევში განხილულია ქართულ უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული საკითხები XI-XII საუკუნეებში, მეორე ნარკვევში - XVIII საუკუნის საქართველოში არსებული საგანმანათლებლო მდგომარეობა, მესამეში - XIX საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში ამ მიმართულებით შექმნილი ვითარება და ბრძოლა უმაღლესი განათლებისათვის, მეოთხეში - საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდელ პერიოდში საგანმანათლებლო კუთხით არსებული მდგომარეობა, მეხუთეში კი თბილისის უნივერსიტეტის დაარსება და შემდგომი პერიოდის საგანმანათლებლო სისტემა ჩვენს ქვეყანაში.

გ. თავზიშვილის მეცნიერული ღვაწლის შეფასების დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ იმ დროისათვის, როცა იგი ამ საქმეს აკეთებდა, ეს საკითხები სათანადო მეცნიერული სიღრმით ჯერ კიდევ არ იყო შესწავლილი და მკვლევარმა მათ სამომავლო კვლევას ამ მიმართულებით გაწეული თავისი მუშაობით მყარი საფუძველი მოუმზადა.

ქართული განათლების ისტორიის შესწავლას გ. თავზიშვილი XI-XII საუკუნეებით იწყებს და მანამდელი პერიოდის საქართველოში ამ მიმართულებით არსებული ვითარება მას მხოლოდ გაკვრით აქვს აღნიშნული. რაც შეეხება XI-XII საუკუნეების

ქართულ საგანმანათლებლო სისტემას, მათ შესახებ მსჯელობას მკვლევარი ათონისა და პეტრიწონის აკადემიების შესახებ მსჯელობით იწყებს. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი აკადემიური და საგანმანათლებლო დონის ამ სასწავლებლების ისტორია დღეს უკვე საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, გ. თავზიშვილის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ნაშრომის გამოქვეყნების დროს მათი ისტორიის ბევრი მხარე ჯერ კიდევ არ იყო სათანადო მეცნიერული სიღრმით გაშუქებული და მკვლევარმა ამ მიმართულებით ერთ-ერთმა პირველმა თქვა მეტად ფასეული სიტყვა.

ქართული უმაღლესი განათლების ისტორიის შესწავლისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის მომდევნო ნაწილში გიორგი თავზიშვილს საფუძვლიანად აქვს გამოკვლეული საკუთრივ ძველ საქართველოში არსებულ აკადემიებთან დაკავშირებული საკითხები. ჩვენი აზრით, ნაშრომის ეს ნაწილი სრულყოფილად ავლენს ავტორის, როგორც ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიკოსის, შესაძლებლობებს. მონოგრაფიის ამ ნაწილში საფუძვლიანად წარმოჩინდა ის სასწავლო და სააღმზრდელო სისტემა, რაც იმდროინდელ ქართულ აკადემიებში იყო დამკვიდრებული. ხსენებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესახებ საუბარს მკვლევარი გელათის აკადემიის შესახებ მსჯელობით იწყებს. სამწუხაროდ, მისი კვლევის არეალში ვერ მოხვდა ამ აკადემიაზე დიდი ხნით ადრე, III-VI საუკუნეებში, არსებული ფაზისის აკადემია (კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა). ჩვენი აზრით, ეს გარემოება არსებითად განაპირობა უმაღლესი დონის ამ სასწავლო დაწესებულებასთან დაკავშირებით დოკუმენტური წყაროების დიდმა ნაკლებობამ.

მონოგრაფიის ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ ისიც, რომ გ. თავზიშვილს ყურადღება არ გაუმახვილებია იმ დიდ საგანმანათლებლო როლზე, რომელსაც ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებში მოღვაწე სასულიერო პირები ასრულებდნენ როგორც სწავლების, ისე თეოლოგიურ საკითხთა კვლევის მიმართულებით.

გ. თავზიშვილი ფაქტობრივად პირველი მკვლევარი იყო, ვინც საფუძვლიანად დაახასიათა XI-XIII საუკუნეების საქართველოში არსებული სასწავლებლების პედაგოგიკური სტრუქტურა. მისი მონოგრაფიის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს ისიც, რომ მკვლევარმა, ქართული პედაგოგიკის ისტორიაში ერთ-ერთმა პირველმა, კონკრეტულად დაადგინა ხსენებული აკადემიების სტრუქტურა და სასწავლო

გეგმები. ამ მიმართულებით მის მიერ ჩატარებული კვლევა გარკვეულწილად საფუძველი გახდა შემდგომი დროის მკვლევართა იმ ნაშრომებისთვის, რომლებშიც აღნიშნულ საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული.

მონოგრაფიის ავტორის ხაზგასმით, ქართული აკადემიების მაღალ მეცნიერულ და საგანმანათლებლო დონეს არა მარტო ის ფაქტი განსაზღვრავდა, იქ მსოფლიო მასშტაბების მქონე მეცნიერები რომ მოღვაწეობდნენ (მაგალითად, ისეთები, როგორებიც იყვნენ: იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, გიორგი და ექვთიმე ათონელები, არსენ იყალთოელი და სხვ.), არამედ იმდროინდელი მსოფლიოს ცნობილ აკადემიურ დაწესებულებებთან პროფესიული სიახლოვეც. კერძოდ, XI-XII საუკუნეების საქართველოში არსებულ აკადემიებში მოქმედი სასწავლო გეგმები და პროგრამები შედგენილი იყო კონსტანტინოპოლის ბიზანტიურ აკადემიასა და ბაღდადის არაბულ აკადემიაში არსებული სასწავლო სისტემის გათვალისწინებით.

როგორც ცნობილია, XIII საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული გარეშე მტრების გამუდმებლი თავდასხმების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა უმძიმესმა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივმა მდგომარეობამ ქართული საგანმანათლებლო სისტემაც მოშალა. ამ ვითარებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ არა მარტო ზემოთ ნახსენებმა აკადემიებმა შეწყვიტეს ფუნქციონირება, არამედ იმდროინდელ საქართველოში სხვა ტიპის სასწავლებლების არსებობის შესახებაც მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება. ამ სფეროს აღორძინებას მეტ-ნაკლებად მყარი საფუძველი XVII საუკუნიდან ეყრება. სამწუხაროდ, გ. თავზიშვილის მონოგრაფიაში ქართული საგანმანათლებლო სისტემის ეს პერიოდი ფრაგმენტულადაა მოხსენიებული და ძველ საქართველოში არსებული სასწავლებლების შესახებ მსჯელობას მკვლევარი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში არსებული ორი სასწავლებლის - თბილისისა და თელავის სემინარიების შესახებ მსჯელობით ამთავრებს.

გ. თავზიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა ხსენებულ სასწავლებელთა სტრუქტურა, სასწავლო გეგმები და პროგრამები, მასწავლებელთა შემადგენლობა და მოსწავლეთა კონტინგენტი და დამაჯერებლად დაასაბუთა ის გარემოება, რომ ამ სასწავლებლებში მიმდინარე სასწავლო პროცესი ფაქტობრივად მთლიანად შეესაბამებოდა იმდროინდელი ევროპული განათლების, კერძოდ კი მოსკოვის სლავიანურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის, სწავლების სტრუქტურას.

გ. თავზიშვილის მტკიცებით, თბილისისა და თელავის სემინარიებში სწავლების მაღალ დონეს არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ საგნების გარკვეული ნაწილი ამ სასწავლებლებში ევროპელი ავტორების მიერ დაწერილი და ქართულად გადმოთარგმნილი სახელმძღვანელოებით ისწავლებოდა. სწავლების პროცესში ასევე ფართოდ იყო გამოყენებული ქართული სახელმძღვანელოები, რომელთა ავტორებიც იყვნენ იმ პერიოდის ცნობილი მოღვაწეები: ანტონ კათოლიკოსი, გაიოზ რექტორი, იოანე ბაგრატიონი და სხვები.

სამწუხაროდ, თბილისისა და თელავის სემინარიების არსებობას რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობის შედეგად დაესვა წერტილი. მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილის მონოგრაფია საბჭოთა იდეოლოგიის ზეობის პერიოდში დაიწერა და დაიბეჭდა, მკვლევარი რუსული ოკუპაციის შედეგად მომხდარი ამ სამწუხარო მოვლენის შეფასების დროს აშკარად გამოხატავს თავის ეროვნულ გულისტკივილს.

ბ) ქართული სასწავლო დაწესებულებანი XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში. ძველ საქართველოში არსებული სასწავლო სისტემის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ გ. თავზიშვილმა მონოგრაფიული გამოკვლევის საგნად უკვე XIX საუკუნის საქართველოში ამ თვალსაზრისით არსებული ვითარების ფუნდამენტური გამოკვლევა დაისახა და პირველმა შეისწავლა ხსენებული პერიოდის ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო მდგომარეობა. სწორედ ამ მიმართულებით გაწეული მისი ხანგრძლივი მეცნიერული მუშაობის შემაჯამებელ ნაშრომს წარმოადგენს მონოგრაფია „სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში," რომელიც პირველად 1948 წელს გამოვიდა. მასში საფუძვლიანადაა გაანალიზებული სასწავლო-საგანმანათლებლო მიმართულებით არსებული მდგომარეობა საქართველოში 1801 წლიდან დაწყებული 1870 წლამდე. ხსენებული პერიოდის საქართველოში არსებული სასწავლებლების ისტორიისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის გ. თავზიშვილისეულ კვლევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისიც სძენდა, რომ აღნიშნული მონოგრაფია მკვლევარს სადოქტორო დისერტაციად ჰქონდა გამიზნული, რაც დიდი წარმატებით განახორციელა კიდეც.

გ. თავზიშვილი მდიდარ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ნათელყოფს იმ არსებით ცვლილებებს, რაც ქართულმა საგანმანათლებლო სისტემამ განიცადა საქართველოში რუსული კოლონიალიზმის დამყარების შედეგად. კერძოდ, იგი

საფუძვლიანად აანალიზებს როგორც იმხანად არსებული სასწავლებლების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, ისე პიროვნულადაც წარმოაჩენს იქ მოღვაწე მასწავლებლებსა და ამ სასწავლებელთა სახელოვან კურსდამთავრებულებს.

გ. თავზიშვილის მონოგრაფიის ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ მასში ის სახელმძღვანელოებიცაა საფუძვლიანად განხილული, რომლებიც მკვლევრის მიერ შესწავლის საგნად ქცეული პერიოდის ქართულ სასწავლებლებში იყო გამოყენებული.

გ. თავზიშვილის მონოგრაფიაში მდიდარ წერილობით წყაროებზე დაყრდნობითაა დახასიათებული საანალიზო პერიოდის საქართველოში არსებული ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულება. მკვლევრის მიერ მოტანილი ფაქტობრივი მასალების საფუძველზე ასეთი სრულყოფილი სახით პირველად გახდა ცნობილი როგორც იმხანად არსებული სასწავლებლების რაოდენობა და სასწავლო პროფილი, ისე მათი სტრუქტურა, სწავლების მეთოდები, სახელმძღვანელოები, იქ მოღვაწე მასწავლებლები, ამ სასწავლებელთა ცნობილი კურსდამთავრებულების ვინაობა, ხელისუფლების მიერ ამ სასწავლებლებში გატარებული რუსიფიკატორული პოლიტიკის მასშტაბები და ა. შ. ასე რომ, ხსენებული მონოგრაფიის მეშვეობით გ. თავზიშვილმა ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა როგორც ხსენებული პერიოდის საქართველოში არსებული სწავლა-განათლების სისტემაზე, ისე რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ ამ სასწავლებლებში დამკვიდრებულ კოლონიურ რეჟიმზეც.

ხსენებულ სასწავლებლებში მიმდინარე სასწავლო პროცესის შესწავლის დროს გ. თავზიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეროვნული თვალსაზრისით იქ არსებულ მდგომარეობას და კონკრეტული ფაქტების გამოაშკარავებით აკრიტიკებს იმ ანტიქართულ პოლიტიკას, რომელსაც რუსეთის კოლონიური ხელისუფლება ატარებდა იმ პერიოდის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.

გ. თავზიშვილის მონოგრაფია პირველი ფუნდამენტური მეცნიერული გამოკვლევა იყო, რომელის ავტორიც საფუძვლიანად აანალიზებდა შესასწავლი პერიოდის საქართველოში ქალთა განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერსოა ნაშრომის ის ადგილი, სადაც მკვლევარი XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან ამ მიმართულებით განხორციელებულ პოზიტიურ ძვრებზე ამახვილებს ყურადღებას. მხედველობაში გვაქვს მის მიერ მოწოდებული ცნობები თბილისსა და ქუთაისში დაარსებული ქალთა

სასწავლებლების შესახებ. გ. თავზიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა ამ სასწავლო დაწესებულებათა ისტორია და დაგვანახა ის პოზიტიური როლი, რომელსაც ეს სასწავლებლები ასრულებდნენ საქართველოში ქალთა განათლების მიმართულებით.

გ. თავზიშვილის მონოგრაფიის მეცნიერული ღირებულების შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებასაც გვინდა მივაქციოთ, რომ მისი მეშვეობით მდიდარ სტატისტიკურ და ფაქტობრივ მონაცემებზე ნათლადაა ნაჩვენები სრული სურათი საქართველოში არსებული სასწავლო სისტემისა მოყოლებული XIX საუკუნის პირველივე წლებიდან 1870-იან წლებამდე.

ქართული საგანმანათლებლო სისტემის ისტორიის კვლევის დროს გ. თავზიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება ხალხური სწავლა-აღზრდის ძველი წესების შესწავლასაც მიაქცია და ამ წესების არსი საფუძვლიანად განმარტა ქართველ მწერალთა და პედაგოგთა დოკუმენტური ნაწერებიდან და სხვა სახის წერილობითი მასალებიდან მოტანილ არგუმენტებზე დაყრდნობით. მხედველობაში გვაქვს მკვლევრის მიერ წმინდა პედაგოგიკური კუთხით დახასიათებული ხალხური სწავლა-აღზრდის ისეთი ფორმები, როგორებიც იყო: გაძიძავება, დაწინდვის წესი და სხვ.

საბოლოოდ შეიძლება დავსაკვნათ, რომ გიორგი თავზიშვილის მონოგრაფია - „სახალხო განათლება და პედაგოგიკური იდეები XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში," როგორც აღნიშნული საკითხების შესასწავლად შექმნილი პირველი მეცნიერული გამოკვლევა, ის ნაშრომია, რომელშიც საფუძვლიანადაა გამოკვლეული ხსენებული პერიოდის საგანმანათლებლო სისტემის პოზიტიური მხარეებიცა და ნაკლოვანებანიც. მეცნიერის მიერ ამ მიმართულებით გაწეული კოლოსალური შრომის შედეგი ის მყარი საფუძველი გახდა, რომელმაც არსებითად გაუიოლა აღნიშნული საკითხების მეცნიერული კვლევა მომდევნო თაობათა წარმომადგენლებს.

გ) ქართული სასწავლო დაწესებულებანი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. პირველი საკითხი, რომლის საფუძვლიანი გაანალიზებითაც გ. თავზიშვილმა აღნიშნული პრობლემის გამოკვლევა დაიწყო, იყო ზოგადი და პროფტექნიკური განათლება XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში. როგორც მის მიერ მოხმობილი ფაქტობრივი მასალებით დასტურდება, პროფტექნიკური სასწავლებლების გახსნისადმი ქართველ მოღვაწეთა ინტერესმა განსაკუთრებით დიდი მასშტაბები XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან შეიძინა. გ. თავზიშვილი ჩვენი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდა იმ აქტიურობას, რომელსაც ქართველი „სამოციანელები“ საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაქმნელად იჩენდნენ.

იმის გამო, რომ საქართველო იმხანად რუსეთის მიერ დაპყრობილ ქვეყანას წარმოადგენდა, მას საკუთარი საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა არ გააჩნდა. ამისდა მიუხედავად, ჩვენი ერის დიდი შვილები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, მაქსიმალურად რომ ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის სასიკეთო საქმეების გაკეთება. მათი აზრით, ქართული საგანმანათლებლო სფეროს ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად პროფესიული სასწავლებლების დაარსება მეტად მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც გიორგი თავზიშვილმა ქართველ „სამოციანელთა“ პედაგოგიკური შეხედულებების შესწავლის დროს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება, ქალთა განათლება იყო. იგი ქართველ მკვლევართაგან ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც სიღრმისეულად შეისწავლა ქალთა განათლებასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მდგომარეობა და გარდა ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ნააზრევისა, ჩვენი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ პიროვნებათა პედაგოგიკური ნააზრევიდანაც მრავლად მოიშველია იმის მაგალითები, როგორ პროგრესულად აზროვნებდნენ ისინი და აქტიურად იღვწოდნენ ქალთა განათლების დონის ასამაღლებლად.

XIX საუკუნის 60-იან წლების საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის დახასიათების დროს გ. თავზიშვილმა სკოლამდელი აღზრდის საკითხსაც მიაქცია ყურადღება და სათანადო წერილობით წყაროებსა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით ნათლად წარმოაჩინა ამ თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა. როგორც მან, ერთ-ერთმა პირველმა ქართული პედაგოგიკის მკვლევართაგან, ხსენებული მასალების საფუძვლიანად შესწავლის შედეგად გაარკვია, სკოლამდელი აღზრდა ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მეტად ჩამორჩენილ საგანმანათლებლო სფეროს წარმოადგენდა და მსგავსი ტიპის თუნდაც ელემენტარული სასწავლო დაწესებულება საქართველოში XIX საუკუნის 60-იან წლებამდე არ შექმნილა.

შემდეგი საკითხი, რომელიც გ. თავზიშვილმა XIX საუკუნის 60-იან წლების საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის დახასიათების დროს ცალკე პარაგრაფად გამოჰყო, სკოლისგარეშე განათლება იყო. ამ საკითხის განხილვის დროს მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ისეთ მოვლენას, როგორიც იყო ხსენებული პერიოდისათვის საკვირაო სკოლების გახსნა. როგორც გ. თავზიშვილმა სათანადო დოკუმენტური წყაროების შესწავლის შედეგად გაარკვია, ეს პროცესი ჩვენს ქვეყანაში 50-იანი წლების მიწურულიდან იწყება.

XIX საუკუნის 60-იან წლების საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის მონოგრაფიულად შესწავლის დროს გ. თავზიშვილმა განსაკუთრებული ყურადღების საგნად აქცია იმდროინდელი საგანმანათლებლო სისტემის წმინდა პედაგოგიკური მხარეც. როგორც ცნობილია, მაშინდელ საქართველოში არსებული სწავლა-აღზრდის სისტემა რუსეთიდან იმართებოდა. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო სისტემა იმპერიულ ინტერესებს იყო მორგებული და ეროვნული ინტერესები მაქსიმალურად იზღუდებოდა. გ. თავზიშვილის ნაშრომების ღირსება ისიც არის, რომ მან აღნიშნული მიმართულებით არსებული ვითარების სიღრმისეულად წარმოსაჩენად ბევრი ახალი მასალა მოიძია როგორც ხსენებულ პიროვნებათა წერილობითი მემკვიდრეობიდან და არქივებიდან, ისე მაშინდელი სასწავლო დაწესებულებების სასწავლო გეგმებიცა და პროგრამებიც შეისწავლა და ამ გზით ნათლად გვიჩვენა, როგორ ტოტალურად დევნიდა ხელისუფლება ყოველივე ქართულს მაშინდელი სკოლებიდან. ამგვარი საგანმანათლებლო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს კი მოზარდი თაობის არაქართული სულისკვეთებით აღზრდა და გარუსება წარმოადგენდა.

სამწუხაროდ, იქიდან გამომდინარე, რომ გ. თავზიშვილის ნაშრომი საბჭოთა ეპოქაში დაიწერა, მის ცალკეულ ეპიზოდებში იმდროინდელი იდეოლოგიური პოლიტიკის ზეგავლენაც იგრძნობა. როგორც ცნობილია, ამ პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას ღვთაებრივი რწმენის უარყოფა წარმოადგენდა და ცხოვრების ყველა სფეროდან, მათ შორის საგანმანათლებლო სისტემიდანაც, ხელაღებით იყო განდევნილი ყოველგვარი რელიგიური ელემენტი. ამ გარემოებას იმიტომაც ვუსვამთ ხაზს, რომ XIX საუკუნის 60-იან წლების საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის შესწავლის დროს გ. თავზიშვილი ნეგატიურ შეფასებას აძლევს რელიგიური

ფაქტორის როლს იმდროინდელ სწავლებაში და პრინციპულად ეწინააღმდეგება რელიგიასა და სწავლებას შორის ყოველგვარი კავშირ-ურთიერთობის არსებობას.

გიორგი თავზიშვილის მიერ ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორიის შესწავლის მიმართულებით შექმნილ ნაშრომთაგან აქ კიდევ ერთ მის სამეცნიერო ნარკვევსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ეს არის მდიდარ ისტორიულ წყაროებსა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით დაწერილი მონოგრაფია „ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია ქ. გორში.“ ხსენებული ნაშრომის მეშვეობით მკვლევარმა საფუძვლიანად, შესაბამისი პერიოდის რუსეთის იმპერიაში არსებულ საგანმანათლებლო მდგომარეობასთან მიმართებითა და მკაფიოდ გამოკვეთილი ანტიკოლონიური თვალთახედვით, წარმოაჩინა აღნიშნული სემინარიის ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი - მისი შექმნისა და ფუნქციონირების უმთავრესი ეტაპები, სასწავლო პროცესის არსი და მიმდინარეობა, იქ მომუშავე მასწავლებლები, მოსწავლეთა კონტიგენტი და ეროვნული შემადგენლობა, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად სასწავლებელში არსებული ანტიქართული ვითარება და ქართველ მოღვაწეთა აქტიური მცდელობა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად და ა. შ.

თავი მეოთხე: გიორგი თავზიშვილი - ქართველ და უცხოელ მოღვაწეთა პედაგოგიკური შეხედულებების მკვლევარი.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გიორგი თავზიშვილის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის საფუძვლიანად გამოკვლევა წარმოადგენდა. ამ მიზნით მან ფუნდამეტურად შეისწავლა ფაქტობრივად ყველა იმ მოღვაწის წერილობითი მემკვიდრეობა, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი ამ სფეროს განვითარებაში. გ. თავზიშვილი პირველი მეცნიერი იყო, ვინც აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი თავისი მონოგრაფიებით მთლიანობაში გაიაზრა და ქრონოლოგიური თანმიმდევორით წარმოაჩინა ის დიდი გზა, რომელიც ქართულმა პედაგოგიკურმა აზროვნებამ განვლო თავისი არსებობის განმავლობაში.

ამ მიმართულებით შექმნილი მისი ერთ-ერთი პირველი მონოგრაფიული ნაშრომი მკვლევარმა შოთა რუსთაველს მიუძღვნა. მხედველობაში გვაქვს მისი გამოკვლევა „ადამიანის დანიშნულება და აღზრდის იდეები „ვეფხისტყაოსანში.“ მასში, რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში პირველად, საფუძვლიანადაა გაანალიზებული შოთა რუსთაველის პედაგოგიკური შეხედულებანი. აღნიშნული საკითხების შესწავლის შედეგად მკვლევარმა დაგვანახა ის დიდი წვლილი, რომელიც პოემის ავტორს ამ მიმართულებითაც აქვს შეტანილი ქართული აზროვნების ისტორიაში.

გ. თავზიშვილის მტკიცებით, შოთა რუსთაველის პედაგოგიკური მოძღვრება ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს ეფუძნება, რომლებიც დღესაც მთლიანად მისაღებია. მხედველობაში გვაქვს იმ დიდმნიშვნელოვანი როლის შეფასება, რომელსაც ადამიანის სრულყოფილ პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში აძლევს რუსთაველი ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ადამიანის გონებრივი აღზრდა-განათლება, ზნეობრივი აღზრდა, ესთეტიკური განათლება, ფიზიკური აღზრდა და ა. შ. გ. თავზიშვილის ნაშრომის ღირსებას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მკვლევარი ყველა ამ საკითხს, როგორც თავადვე ამბობს, „ვეფხისტყაოსნის“ „ტექსტის პედაგოგიური ანალიზის საშუალებით“ განიხილავს.

საბოლოოდ, აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული ფუნდამენტური კვლევის საფუძველზე, გ. თავზიშვილი მართებულად დაასკვნის, რომ შოთა რუსთაველი არა მარტო პოეტური სიტყვის გენიალური ოსტატი, უდიდესი ჰუმანისტი და მოაზროვნე იყო, არამედ მას ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარების საქმეშიც აქვს შეტანილი უაღრესად მნიშვნელოვანი წვლილი და „ვეფხისტყაოსნის“ „პედაგოგიკური იდეები ისევე წარმტაცი, მიმზიდველი და აქტუალურია, როგორც მისი მრავალი სხვა სოციალურ-პოლიტიკური, ფილოსოფიური და მხატვრული იდეები.“

გიორგი თავზიშვილი ასევე პირველი მკვლევარი იყო, რომელმაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა XIX საუკუნეში მოღვაწე დიდი ქართველი მოაზროვნეების პედაგოგიკური იდეების კვლევასა და მათი პრაქტიკული საგანმანათლებლო საქმიანობის შესწავლას. ხსენებული პერიოდის ქართველ მამულიშვილთა ამ ღვაწლის ფუნდამენტურ კვლევას იგი სოლომონ დოდაშვილის (1805-1836 წწ.) მოღვაწეობის შესწავლით იწყებს და არგუმენტირებულად წარმოაჩენს მის პედაგოგიკურ იდეებსა და პრაქტიკული მოღვაწეობის ყველა მნიშვნელოვან მხარეს. გ. თავზიშვილის

ხაზგასმით, საქართველოში სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემის სასურველ დონეზე აყვანა ს. დოდაშვილს მხოლოდ მაშინ მიაჩნდა შესაძლებლად, თუ მისი განვითარების პროცესი ევროპულ საგანმანათლებლო სისტემასთან დაახლოების გზით წარიმართებოდა.

ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესწავლის დროს გიორგი თავზიშვილის განსაკუთრებული ინტერესის საგნად სავსებით ლოგიკურად იქცა ქართველ „სამოციანელთა“ უმნიშვნელოვანესი როლის წარმოჩენა აღნიშნული მიმართულებით. ამ დიდი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა პედაგოგიკური იდეების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და იმდროინდელი სასწავლო სისტემის საფუძვლიანად შესწავლა მისი მეცნიერული მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრესი მიმართულებაა. ხსენებულ მოღვაწეთა პედაგოგიკური იდეები მას არა მარტო ისტორიულ კონტექსტში აქვს გააზრებული და შეფასებული, არამედ თავისი დროის აღზრდა-განათლების აქტუალურ პრობლემებთან მიმართებითაც.

აღნიშნული მიმართულებით გაწეული მრავალწლიანი სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთ შემაჯამებელ ნაშრომად უნდა მივიჩნიოთ გიორგი თავზიშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა „ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები.“ ამ უდიდესი მოაზროვნის, შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის მიერ ქართული პედაგიკის განვითარებაში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილი გ. თავზიშვილმა ორი უმთავრესი მიმართულებით წარმოაჩინა: ერთის მხრივ, დიდი მამულიშვილის მხატვრული შემოქმედებისა და პუბლიცისტური წერილების საფუძვლიანი განხილვის გზით, მეორეს მხრივ კი იმ აქტიური პრაქტიკული მოღვაწეობის ჩვენებით, რასაც მწერალი ქართული საგანმანათლებლო სისტემის განსავითარებლად ეწეოდა.

როგორც გ. თავზიშვილმა თავისი მონოგრაფიით დამაჯერებლად ნათელყო, პედაგოგიკური მეცნიერული აზროვნების აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ილიას მიერ გამოთქმული მოსაზრებანი არა მარტო ამ დიდი მამულიშვილის დროისათვის წარმოადგენდა მეტად პროგრესულ შეხედულებებს, არამედ მათაგან ბევრი რამ დღესაც მისაღებია და ანგარიშგასაწევი.

ქართული პედაგოგიკისთვის დღესაც უაღრესად ფასეული მოსაზრება, რომელსაც გ. თავზიშვილი ი. ჭავჭავაძის საგანმანათლებლო იდეების გაანალიზების დროს გამოთქვამს, ქართული სასწავლო პროცესის ევროპულ სისტემასთან ინტეგრაციის

მოთხოვნაა. ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ამ მოსაზრებას მკვლევარი არა მარტო ილიას დროინდელი ქართული საგანმანათლებლო სისტემის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდა, არამედ საბჭოთა პერიოდის სასწავლო პროცესისთვისაც აუცილებელ ფაქტორადაც.

ეს ყველაფერი კი შენიღბული ფორმით აშკარა დაპირისპირება იყო რუსული (იგივე საბჭოთა) პედაგოგიკური მეცნიერების პოლიტიზებულ მხარესთან. ი. ჭავჭავაძის პედაგოგიკური შეხედულებების გაანალიზებას გ. თავზიშვილი მეტ მასშტაბებს იმითაც სძენს, რომ დიდი მამულიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს პედაგოგიკის მეცნიერების ფართოდ აღიარებულ ისეთ წარმომადგენელთა მოსაზრებებთან მიმართებითაც განიხილავდა, როგორებიც იყვნენ: ჰ. პესტალოცი, ა. დისტერვეგი, ი. კომენსკი, კ. უშინსკი და სხვები.

ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიკური შეხედულებების შესწავლის დროს გიორგი თავზიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება აკაკი წერეთლის (1840-1915 წწ.) ნააზრევსაც მიაქცია და მისი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო იდეების საფუძვლიანი გაანალიზების შედეგად დაადგინა, რომ აკაკის შემოქმედებაში ჩამოყალიბებული „აღზრდის კონკრეტული ამოცანები და მიზნები სამ ძირითად დარგად“ შეიძლება დავაჯგუფოთ: პირველი, გონებრივი განათლება, მეორე, მორალური აღზრდა და მესამე, ფიზიკური განვითარება. ამ მოსაზრებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად გ. თავზიშვილს მრავალი კონკრეტული არგუმენტი მოჰყავს დიდი მოაზროვნის შემოქმედებიდანაც და პრაქტიკული მოღვაწეობიდანაც. ყოველივე ზემოთქმული კი მკვლევარს საკმაოდ მყარ საფუძველს აძლევს მისეულ მოსაზრებათა ნათელსაყოფად, რითაც ღრმად გვარწმუნებს იმაში, რომ აკაკი არა მარტო შესანიშნავი მწერალი იყო, არამედ პედაგოგიკის პრობლემებშიც ღრმად გარკვეული ის პიროვნებაც, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თავისი დროის საგანმანათლებლო სისტემის განსავითარებლად.

ქართული პედაგოგიკის ისტორიაში თავიანთი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი იდეებით გამორჩეულ მოაზროვნეთა შეხედულებებზე დაყრდნობით გ. თავზიშვილი ცდილობდა აქტიურად ეძებნა სწავლებისა და აღზრდის ის გზები და მეთოდები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვის შედეგად

არსებული სასწავლო სისტემა კიდევ უფრო დაიხვეწებოდა და მეტი ეფექტურობით შეასრულებდა მის წინაშე მდგარ უმნიშვნელოვანეს როლს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილის შეფასების დროს გ. თავზიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს გამორჩეულად მნიშვნელოვან იმ როლს, რომელიც იაკობ გოგებაშვილს (1840-1912 წწ.) აქვს შესრულებული ამ მიმართულებით. ამ დიდი პედაგოგისა და მოაზროვნის ღვაწლის წარმოჩენის დროს გ. თავზიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს მის როგორც პრაქტიკულ, ისე თეორიულ დამსახურებას. მიუხედავად იმისა, რომ იაკობ გოგებაშვილის ზოგიერთმა პედაგოგიკურმა იდეამ დროთა განმავლობაში გარკვეული კორექტირება განიცადა, ამ დიდი მოძღვრის პედაგიგიკური ნააზრევიდან დღესაც ბევრი რამაა უსათუოდ გასათვალისწინებელი.

თავისი ფუნდამენტური მონოგრაფიით გ. თავზიშვილმა დამაჯერებლად ნათელყო, რომ ი. გოგებაშვილი არა მარტო თეორიული სახით აყალებებდა სწავლა-განათლების ფუნდამენტურ მოთხოვნებს, არამედ პრაქტიკულადაც აქტიურად იღვწოდა ამ მიზნის მისაღწევად. თავისი დროის დიდ ქართველ მოღვაწეებთან და პედაგოგებთან ერთად მან ბევრი რამ გააკეთა შესაბამისი პერიოდის ქართული საგანმანათლებლო სისტემის გასაუმჯობესებლად.

გარდა პედაგოგიკის საკითხებზე შექმნილი მეცნიერული ნაშრომებისა, გიორგი თავზიშვილი ლიტერატურულ ნარკვევებსაც აქვეყნებდა ქართული ლიტერატურის ცნობილ წარმომადგენელთა შემოქმედებაზე. მისი ამ პუბლიკაციებიდან თვალნათლივ ჩანს მკვლევრის ფართო განსწავლულობა, მაღალი პროფესიონალიზმი და მოვლენათა ახლებული თვალთახედვით დანახვისა და შეფასების უნარი.

გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკური შეხედულებების შეფასების დროს ყურადღების მიღმა არ უნდა დავტოვოთ საკმაოდ ვრცელი მოცულობის მქონე მისი მონოგრაფიული ნაშრომი, რომელშიც საფუძვლიანადაა გაანალიზებული რუსული პედაგოგიკის თვალსაჩინო წარმომადგენლის კონსტანტინე დიმიტრისძე უშინსკის (1823-1870 წწ.) პედაგოგიკური მოძღვრება. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული პიროვნების მიერ რუსული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში შეტანილი წვლილი ამ ნაშრომის გამოქვეყნებამდე თავად რუს მკვლევართა მიერაც იყო შესწავლილი, გ. თავზიშვილი მათ მიერ უკვე გამოთქმულ მოსაზრებათა მხოლოდ

განმმეორებლის როლში არ გამოდის და არაერთ ახლებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს კ. დ. უშინსკის პედაგოგიკური შეხედულებების ინტერპრეტირების დროს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა გ. თავზიშვილის ის შეფასებები, რომელთაც რუსი პედაგოგი სწავლა-განათლების წარმართვისა და მაღალ დონეზე აყვანის პროცესში ეროვნულ და ენობრივ ფაქტორებს ანიჭებს.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, არ გადავაჭარბებთ, თუ დავასკვნით, რომ გ. თავზიშვილმა, როგორც ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის მაღალკვალიფიციურმა მკვლევარმა და ამ სამეცნიერო დისციპლინის სისტემური კურსის ერთ-ერთმა პირველმა შემქმნელმა, საფუძვლიანად შეისწავლა საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემა და პედაგოგიკური იდეები.

მიუხედავად იმისა, რომ გ. თავზიშვილის განხილული ნაშრომების დაწერიდან საკმაო დრო გავიდა, თავისი მაღალი მეცნიერული ღირებულებითა და შესასწავლ საკითხთა სიღრმისეულად გააზრების თვალსაზრისით აღნიშნული გამოკვლევები არა მარტო საბჭოთა პერიოდის ქართული პედაგოგიკის ისტორიის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს, არამედ ისინი დღევანდელი თვალთახედვითაც საინტერესო და მრავალმხრივ ანგარიშგასაწევი სამეცნიერო ნაშრომებია.

დასკვნითი დებულებები:

საბოლოოდ, გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკური ნააზრევის საფუძვლიანი შესწავლის საფუძველზე, გასულ საუკუნეში მოღვაწე ამ პიროვნების მეცნიერული ღვაწლი განზოგადებული ფორმით შეიძლება ამგვარი დასკვნითი დებულებებით განისაზღვროს:

- როგორც ქართული პედაგოგიკური მეცნიერების ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა, წარმატებით განაგრძო მისი წინამორბედი დიდი ქართველი პედაგოგების მიერ დამკვიდრებული ტრადიცია და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოში პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში.

- გ. თავზიშვილს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქართული პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. კერძოდ, საქართველოში მან ერთ-ერთმა პირველმა დაამუშავა პედაგოგიკის მეთოდოლოგიური საფუძვლები და ფუნდამენტური განხილვის საგნად აქცია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: პედაგოგიკის მიზნები, ამოცანები, აღზრდის განმარტება,

ბავშვის ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის ურთიერთობის საკითხები და სხვა.

- მან, ქართველ მკვლევართაგან ერთ-ერთმა პირველმა, მეცნიერული სიღრმით გაიაზრა შრომითი დისციპლინის საკითხები და გვიჩვენა მათი როლი პიროვნების აქტივობის, სოციალურ-ეკონომიკური, ზნეობრივი და გონებრივი განვითარების პროცესში; ნათლად ჩამოაყალიბა შრომითი აღზრდის მიზანი, შრომის მოტივაცია, შრომის შედეგით გამოწვეული სიამოვნება, შრომისმოყვარეობა, შრომის დისციპლინა და სხვა.

- გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი პედაგოგიკური იდეების მიმართება სწავლა-აღზრდის თანამედროვე პრობლემებთან, რაც კიდევ უფრო მყარ საფუძველს ქმნის ამ პრობლემების გადასაწყვეტ ოპტიმალურ გზათა მოსაძიებლად.

- მკაფიოდ განსაზღვრა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის არსი, მიზნები და ამოცანები; ჩვენი აზრით, ამ მიმართულებით გამოთქმული მისი მოსაზრებების გათვალისწინება და პრაქტიკაში დანერგა გარკვეულწილად დღესაც დაგვეხმარება სწავლების ინტერნაციონალიზაციის პროცესის ეფექტურად წარსამართ გზათა მიგნებაში.

- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც გიორგი თავზიშვილმა ქართველ მოღვაწეთა პედაგოგიკური შეხედულებების შესწავლის დროს მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება, ქალთა განათლება იყო. კერძოდ, მან სიღრმისეულად შეისწავლა ქალთა განათლებასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მდგომარეობა.

- მიუხედავად უაღრესად მკაცრი იმ პოლიტიკური კონტროლისა და მკვეთრად გამოხატული პრორუსული იდეოლოგიური პოლიტიკისა, რომელიც საბჭოთა პერიოდის საქართველოში არსებობდა, გიორგი თავზიშვილი მაინც ცდილობდა გაეკრიტიკებინა მაშინდელი ხელისუფლების დისკრიმინაციულ დამოკიდებულება ქართული ენისა და ჩვენი ეროვნული ინტერესებისადმი. იგი არა მარტო ზოგადად ამხელდა რუსული საგანმანათლებლო სისტემის ამ მომაკვდინებელ მანკიერებას, არამედ მრავალი კონკრეტული დოკუმენტიც მოჰქონდა ამის ნათელსაყოფად.

- საქართველოში არსებული საგანმანათლებლო სისტემის დახასიათების დროს გიორგი თავზიშვილმა სკოლამდელი აღზრდის საკითხსაც მიაქცია ყურადღება და სათანადო წერილობით წყაროებსა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით ნათლად წარმოაჩინა ამ თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა.

- სამწუხაროდ, გიორგი თავზიშვილის იმ ნაშრომთა გარკვეული ნაწილი, რომლებიც მან თავისი დროის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზს მიუძღვნა, მკაფიოდ გამოხატული პარტიული და იდეოლოგიური სულისკვეთების გამო დღესდღეობით ნაკლებად ფასეულია. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა რეალობამ, რომელშიც მკვლევარს უხდებოდა ცხოვრება. იმდროინდელი რეალობიდან გამომდინარე, გიორგი თავზიშვილისთვის, ისევე როგორც საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე ფაქტობრივად ყველა მეცნიერისთვის, მეცნიერული კვლევის უმთავრეს საფუძველსა და მეთოდოლოგიურ ბაზას მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია წარმოადგენდა, რაც უმძიმეს დაღს ასვამდა მათ ნაშრომებს.

- განსხვავებით პედაგოგიკის თეორიისა და სწავლების საკითხებზე შექმნილი იმ ნაშრომებისაგან, რომლებშიც იმჟამინდელი იდეოლოგიური პოლიტიკის ზეგავლენის კვალი ყველაზე მეტად იგრძნობა, გიორგი თავზიშვილის ის ნარკვევები, რომლებშიც ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიისა და დიდ ქართველ მოღვაწეთა საგანმანათლებლო შეხედულებებია შესწავლილი, ამ თვალსაზრისით შედარებით ნაკლებადაა შებოჭილი საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიით.

- გიორგი თავზიშვილის მონოგრაფიული ნარკვევების გამოქვეყნებამდე საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორია და ქართული პედაგოგიკური აზროვნების ცნობილ წარმომადგენელთა საგანმანათლებლო შეხედულებანი საფუძვლიანად შესწავლილი არ ყოფილა.

- გიორგი თავზიშვილმა დიდი როლი შეასრულა ქართული საბავშვო მწერლობის ცნობილ წარმომადგენელთა საბავშვო ნაწერების რედაქტირების, გამოცემისა და მათი ავტორების პედაგოგიკური იდეების წარმოჩენის საქმეშიც. კერძოდ, მან საფუძვლიანად შეისწავლა ცნობილი ქართველი საბავშვო მწერლების აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო შეხედულებანი.

- გიორგი თავზიშვილის მეცნიერული კვლევის უმთავრეს მიმართულებად თავიდანვე დამკვიდრდა ქართული პედაგოგიკური აზროვნებისა და საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორიის შესწავლა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1948 წელს გამოცემული მისი წიგნი – „სახალხო და პედაგოგიური აზროვნების ისტორია საქართველოში," რომელიც აღნიშნული მიმართულებით შექმნილ პირველ მონოგრაფიას წარმოადგენს. ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესასწავლად აქტიური მუშაობა გიორგი თავზიშვილმა ამის შემდეგაც განაგრძო და არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომით გაამდიდრა ქართული პედაგოგიკური მეცნიერება.

- გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის შედეგად არა მარტო ამ მკვლევრის მიერ ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში შეტანილი წვლილი წარმოჩინდა, არამედ საბჭოთა პერიოდის ჩვენი პედაგოგიკური მეცნიერების სპეციფიკური მხარეებიც გამოვლინდა რამდენადმე ახალი რაკურსით. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მეცნიერის მიერ ამ მიმართულებით გაწეული კოლოსალური შრომის შედეგი ის მყარი საფუძველი გახდა, რომელმაც არსებითად გაუიოლა აღნიშნულ საკითხთა კვლევა მომდევნო თაობათა წარმომადგენლებს.

- გიორგი თავზიშვილის ღვაწლის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მის დამსახურებას დიდ ქართველ მოღვაწეთა საგანმანათლებლო შეხედულებების შესწავლის საქმეში. ფაქტობრივად, მკვლევრის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა წარსულში მოღვაწე არც ერთი პიროვნება, რომელსაც ეროვნული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში საგულისხმო წვლილი შეეტანოს და მისი ეს დამსახურება გიორგი თავზიშვილის მეცნიერული კვლევის საგანი არ გამხდარიყოს.

- გიორგი თავზიშვილის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას ქართული სასწავლო დაწესებულებების ისტორიის შესწავლაც წარმოადგენდა. მან საფუძვლიანად შეისწავლა ქართულ განათლებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე მკვლევარმა იმ დროს გააკეთა, როცა აღნიშნული პრობლემა ჯერ კიდევ არ იყო შესწავლილი სათანადო მეცნიერული სიღრმით და ამ მიმართულებით სამომავლო კვლევას თავისი ფუნდამენტური ნაშრომებით მეტად მყარი საფუძველი შეუქმნა.

- საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე განზოგადებული სახით კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს იმ გარემოებას, რომ წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში გიორგი თავზიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა შეფასებულია, როგორც მისი ავტორის მიერ შეტანილი საკმაოდ ფასეული წვლილი ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში.

კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ სამეცნიერო გამოცემებში და მოხსენებების სახით წაკითხულია ქვემოთ დასახელებულ სამეცნიერო კონფერენციებზე.

პუბლიკაციები:

1. Tinatin Kapanadze – Issues Related to Women's Education in Georgia, Proceedings of the 4th International Scientific Conference «Scientific Results», Rome, Italy, 2023, pp. 9-11.
2. თინათინ კაპანაძე – გიორგი თავზიშვილი - ქართული პედაგოგიკის თეორეტიკოსი, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, # 29, 2023, გვ. 197-203.
3. თინათინ კაპანაძე – პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის საკითხები გიორგი თავზიშვილის პედაგოგიკურ ნააზრევში, აწსუ ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, ტ. XXVI, 2022, გვ. 57-62.
4. თინათინ კაპანაძე – პროფესიული განათლების ისტორიიდან საქართველოში, აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის X საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის – „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“ შრომები, 2022, გვ. 86-89.
5. თინათინ კაპანაძე – გიორგი თავზიშვილი – X-XIII საუკუნეების ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორიის მკვლევარი, აწსუ ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა, ტ. XXV, 2021, გვ. 141-146.

6. თინათინ კაპანაძე – გიორგი თავზიშვილი - XIX საუკუნის საქართველოში ქალთა განათლებასთან დაკავშირებულ საკითხთა მკვლევარი, აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის IX საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის – „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“ შრომები, 2018, გვ. 88-91.
7. თინათინ კაპანაძე – გიორგი თავზიშვილი – ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის მკვლევარი, აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის VIII საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენციის – „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“ შრომები, 2017, გვ. 154-158.

კონფერენციები:

1. Issues Related to Women's Education in Georgia – 4th International Scientific Conference «Scientific Results», Rome, Italy, 2023.
2. გიორგი თავზიშვილი – იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური ღვაწლის მკვლევარი – იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეათე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022.
3. პროფესიული განათლების ისტორიიდან საქართველოში – აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის X საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია – „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2022.
4. გიორგი თავზიშვილი – X-XIII საუკუნეების ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ისტორიის მკვლევარი – პედაგოგიკის დეპარტამენტის დაარსებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2018.
5. გიორგი თავზიშვილი – XIX საუკუნის საქართველოში ქალთა განათლებასთან დაკავშირებულ საკითხთა მკვლევარი – აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის IX საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია – „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2018.

6. გიორგი თავზიშვილი – ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის მკვლევარი – აწსუ პედაგოგიური ფაკულტეტის VIII საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია – „სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2017.
7. გიორგი თავზიშვილის წვლილისათვის ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიის შესწავლის საქმეში – პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის მკვლევრის – გიორგი თავზიშვილის დაბადებიდან 115 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2017.
8. გიორგი თავზიშვილი XIX საუკუნის 60–იანი წლების საქართველოში პროფესიულ-ტექნიკური განათლების შესახებ – რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია „ინოვაციები და ტრადიციები თანამედროვე განათლებაში“, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ქუთაისის ზონალური ინსტიტუტი, ქუთაისი, 2017.
9. გიორგი თავზიშვილი როგორც შოთა რუსთაველის პედაგოგიურ შეხედულებათა მკვლევარი – შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2016.